საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/3677-18 "16" 11 2018 წ

შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio"-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2018 წლის 15 ნოემბერს ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია") სხდომა გადაიდო 2018 წლის 22 ნოემბერს,15 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18. კომისიის სხდომაზე განიხილება შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio"-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტისა და 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2018 წლის 5 ნოემბრის N შ-10/5808-18 სამსახურებრივი ბარათი და კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 2 ნოემბრის N შ-10/5791-18 სამსახურებრივი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 6 ნოემბერი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2018 წლის 5 ნოემბრის N შ-10/5808-18 სამსახურებრივი ბარათი – 2 ფურც;
2. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 2 ნოემბრის N შ-10/5791-18 სამსახურებრივი ბარათი - 2 ფურც.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი **იოსებ ხარებავა**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის აპარატის სამართლებლივი
დეპარტამენტის სპეციალისტს

თამარ გოშუას

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული
განვითარების დეპარტამენტის უფროსის

ქეთევან რეხვიაშვილის

სამსახურებრივი ბარათი

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით ავტორიზებულ პირ "თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-stidio"-ს კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზის მიხედვით 2018 წლის აპრილიდან არ წარმოუდგენია ელექტრონული ანგარიშგების ფორმები.

პატივისცემით,

ქ. რეხვიაშვილი

ჟ.10/5808.18
05 11 18
1+1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის

უფროსს ქალბატონ ქეთევან რეხვიაშვილს

კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

წამყვანი სპეციალისტის თამარ გოშუას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ქეთევან,

გთხოვთ, გვაცნობოთ შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio" ს/კ404461998 წარმოდგენილი აქვს თუ არა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

პატივისცემით,

თამარ გოშუა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის
წამყვან სპეციალისტს
ქალბატონ თამარ გოშუას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2018 წლის 02 ნოემბრის №შ-10/5762-18 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „თბილიფილმ-სტუდიოს Tbilifilm-studio" ს/კ 404461998, კომისიაში წარმოსადგენი აქვს 2018 წლის მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმები და რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმების წარმოუდგენლობის გამო დავალიანება ვერ დგინდება.

პატივისცემით,

ნ.

ნათია დევდარიანი
02/11/2018

Ш-10/5769/18
02 11 18
1+1

კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს

ქალბატონ ნათია დევდარიანს

კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

წამყვანი სპეციალისტის თამარ გოშუას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ნათია,

გთხოვთ, გვაცნობოთ შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio" ს/კ404461998 წარმოადგენს თუ არა რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1.9 ფორმას და გააჩნია თუ არა რეგულირების საფასურის დაავალიანება.

პატივისცემით,

თამარ გოშუა

ქ10/5762.18
02 11 18